სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/25

ქ. თბილისი

17 აპრილი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 23 თებერვლის №3 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 მარტის №01-05-04/38 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2024 წლის 17 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში შეიმუშავებს და

ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს ტრანსპორტის, მანქანათმცოდნეობის, მანქანათმშენებლობის, კვების ინდუსტრიის, პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის, საგზაო ინჟინერიის, სატრანსპორტო ლოგისტიკის, ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის, მექანიკის ინჟინერიის და სამრეწველო ტექნოლოგიების მიმართულებით, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ლოგისტიკური ტერმინალებისა და ცენტრების, მანქანა-მოწყობილობების სერვისის, ხარვეზების დიაგნოსტიკის, მოდერნიზირების, დაპროექტება-დამზადების, სამანქანათმშენებლო წარმოების, ტექნოლოგიური მანქანების და ავტომატიზირებული კომპლექსების და ა. შ. საკითხების გადაწყვეტასთან.";

ბ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ფაკულტეტი ზრუნავს და ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას, მათ შორის, უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვა/მობილობას. აგრეთვე, ზრუნავს უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სტუდენტების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.";

გ) მე-9 მუხლის „ე" და „ო" ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს;

დ) მე-10 მუხლის:

დ.ა) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე სასწავლო დარგში და სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინების საფუძველზე, დეკანის უფლებამოსილების ვადით.

7. დეკანის მოადგილეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დეკანის ბრძანებით თუ მოქმედი კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.";

დ.ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9. დეკანის მოადგილე სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში უზრუნველყოფს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარებას, კვლევითი პროექტების განხორციელების ორგანიზებას.";

ე) დებულების მე-4 თავი ამოღებული იქნეს;

ვ) მე-17 მუხლის:

ვ.ა) მე-2 პუნქტის „გ"-„ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) №502 სარკინიგზო ტრანსპორტის აკადემიური დეპარტამენტი;
დ) №503 საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის აკადემიური დეპარტამენტი;

ე) №504 ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის აკადემიური დეპარტამენტი;
ვ) №505 საავტომობილო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის აკადემიური დეპარტამენტი.";

ვ.ბ) მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.;

ვ.გ) ამოღებული იქნეს მე-4 პუნქტის „ბ", „გ", „დ", „ვ", „ზ", „თ", „ი", „ნ", „ო" და „პ" ქვეპუნქტები.;

ვ.დ) მე-4 პუნქტს დაემატოს „რ", „ს" და „ტ" ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) სამრეწველო ინჟინერიის სასწავლო-კვლევითი ცენტრი;
ს) მექანიკურ სამუშაოთა საინჟინრო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი;
ტ) საწვავ-საპოხი მასალების ტესტირების ლაბორატორია.";

ზ) 23-ე მუხლის:
ზ.ა) პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიები.";

ზ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ბაკალავრიატის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია იქმნება საფაკულტეტო ბრძანებით, მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით - რექტორის ბრძანებით, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიები კი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით. მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით."

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**